წესები და პირობები

ჩვენ ვართ **TicketWizz** ,გმადლობთ, რომ იყენებთ ჩვენს სერვისს! ჩვენ დაგეხმარებით კულტურული ღირშესანიშნაობების, დაწესებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ადგილების აღმოჩენაში და უდიდესი გამოცდილების დაგროვებაში. ჩვენ აქ ვართ, რათა თქვენი მოგზაურობა გავხადოთ მაქსიმალურად საინტერესო და სარგებლიანი.

ეს წესები და პირობები გაჩვენებთ, თუ როგორ ვაწარმოებთ ჩვენს ბიზნესს, რას ვაკეთებთ თქვენთვის და რას მოველით თქვენგან სანაცვლოდ.მომხმარებელი, რომელიც ეთანხმება ამ "წესებსა და პირობებს", ამით ადასტურებს თავის სურვილს ისარგებლოს კომპანიის მიერ შეთავაზებული სერვისებით იმ პლატფორმის მეშვეობით, რომელსაც ეს კომპანია მართავს (ოპერირებს).

გთხოვთ, გულდასმით გაეცნოთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მომსახურების წესებსა და პირობებს, რომლებიც ეხება სხვადასხვა ტიპის ადგილებსა და ღონისძიებების დასასწრებ ბილეთებს, მათ შორის გასართობი, კულტურული, სპორტული და სხვა სახის ეროვნული თუ საერთაშორისო ივენთების ბილეთებს.

კომპანია აგროვებს თქვენს პირად ინფორმაციას როგორც თქვენგან, ისე მესამე მხარეებისგან. ეს მონაცემები დამუშავდება მხოლოდ თქვენივე თანხმობით და ამ დოკუმენტში აღწერილი კონფიდენციალურობის პოლიტიკის თანახმად.

რეგისტრაციის დროს, როდესაც მონიშნავთ ველს "ვეთანხმები წესებს და პირობებს", თქვენ ავტომატურად აცხადებთ თანხმობას ჩვენს კონფიდენციალურობის პოლიტიკაზე.

თქვენ გაქვთ უფლება, ნებისმიერ დროს მოითხოვოთ თქვენი ანგარიშის გაუქმება.

რისი მოლოდინი შეგიძლიათ გქონდეთ ჩვენგან:

- ჩვენ მუდმივად მზად ვართ დაგეხმაროთ, 24/7.
- როგორც შუამავალი, ჩვენ ვმუშაობთ იმისთვის, რომ მოგაწოდოთ სწორი ინფორმაცია და გამჭვირვალე ფასები თითო ბილეთზე და თითო პირზე.
- ჩვენ გთავაზობთ თქვენთვის შერჩეულ პროდუქციის კომბინაციებს, რათა გაამდიდროთ თქვენი გამოცდილება.
- სანამ თქვენი შეკვეთის თანხას გადაიხდით, ჩვენ გაჩვენებთ მთლიანი შეკვეთის თანხის მიმოხილვას.
- ხანდახან თქვენი გადახდა არ მუშავდება. რა იწვევს ამ შეცდომას? ეს შეიძლება იყოს ჩვენი, ჩვენი გადახდის მომწოდებლის, ან თქვენი ბანკის ან საკრედიტო ბარათის მომწოდებლის ბრალი. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგატყობინებთ გადახდის სტატუსს.
- თქვენ გსურთ თქვენი ბილეთები დაუყოვნებლივ მიიღოთ გადახდის წარმატებით დასრულების შემდეგ და ჩვენ ამას ვიგებთ. თუმცა, ზოგჯერ რაღაც შეიძლება არასწორად წავიდეს. თუ აღმოჩნდა, რომ მიმწოდებელს არ შეუძლია დაუყოვნებლივ მოგაწოდოთ ბილეთები (მაგალითად, IT პრობლემების, ხელმისაწვდომობის

საკითხების და ა.შ. გამო), მიმწოდებელს აქვს 48-საათიანი ვადა, რომ შეეცადოს და მოგაწოდოთ ბილეთები ჩვენი მეშვეობით. თუ ეს ვერ მოხერხდა, თქვენი შეკვეთა სრულად ანაზღაურდება.

- **TicketWizz`** არ იძლევა ვებ-გვერდის უწყვეტად ფუნქციონირების გარანტიას, შესაბამისად იგი პასუხს არ/ვერ აგებს თუ დროის გარკვეულ მონაკვეთში ვებ- გვერდი ან მისი რომელიმე სერვისი გახდა მთლიანად ან ნაწილობრივ მიუწვდომელი, დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და სხვა.
- თუ თქვენ მიიღეთ პირდაპირი ზარალი ჩვენი შეცდომის გამო (და ჩვენ უნდა გვცოდნოდა, რომ ეს შეცდომა იყო იმ დროს), ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ პასუხისმგებლობა იმ ფარგლებში, რაც პირდაპირ ეხება ჩვენი პლატფორმის გამოყენებას. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებსაც ვაკონტროლებთ ან უნდა შეგვეძლოს გაკონტროლება. ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ თქვენს ფაქტობრივ ვიზიტს მიმწოდებლის მუზეუმში. თუ არ მოგეწონათ მიმწოდებლის ნახატების კოლექციის ხარისხი, ჩვენ ვერ ავიღებთ ამის პასუხისმგებლობას. მიწისძვრები, ძლიერი წვიმა და სხვა გარემოებები, რომლებიც ხელს შეგიშლიან ბილეთების გამოყენებაში, ასევე არ ექვემდებარება ჩვენს კონტროლს.

რას მოველით თქვენგან:

- ჩვენ მოველით, რომ თქვენ სიამოვნებას მიიღებთ **TicketWizz**-ის გამოყენებისგან. თუ ეს ასე არ არის, გთხოვთ, გვაცნობოთ.
- თქვენ მიერ მოწოდებული დეტალები (როგორიცაა თქვენი სახელი, ელ-ფოსტა, ტელეფონის ნომერი) უნდა იყოს სწორი და ჭეშმარიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერ მოგაწვდით ბილეთებს
- ჩვენი პლატფორმა შექმნილია პირადი მოხმარებისთვის, რაც ნიშნავს, რომ თუ თქვენ შეიძენთ ბილეთებს ჩვენი მეშვეობით სხვებისთვის გადასაყიდად არ იქნებება მართებული .

- თუ გაქვთ რაიმე შეკითხვა, უკუკავშირი, საჩივარი ან კომპლიმენტი, გთხოვთ, თავისუფლად დაგვიკავშირდეთ.